# სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 1090

დამატების № 192

სამშაბათი, 14 იანვარი 1914 წ.




წმ. ნინო.

# ქართველი ქალი



ბაბო ავალიშვილისა.



ბაბილინა.



ეკატერინე გაბაშვილი.



ნატო გაბუნია.



განდეგილი.



მარიამ გარიყული.



მარიამ დემურია.



ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.



ან. ერისთავი-ხოშტარიასი.



ეკატერინე მესხი.

# ცაწე ქალები



ეფემია მესხი.



ნ. ნაკაშიძე.



ნინო ორბელიანი.



მარიამ საფაროვ-აბაშიძისა.



ნინო ყიფიანი.



ოლღა ჭავჭავაძისა.



მარ. ვახტ. ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა.



ბარბარე ჯორჯაძე.



ელისაბედ ჩერქეზიშვილი.



ნინო ჩხეიძე.

# „ნუ თუ!?“

პატარა ტახტზე იწვა იგი. განთიადი იგრძნო. ფანჯრიდან ბუნდი სინათლე შემოიჭრა. ბნელს კუთხეს მიაჩერდა. მჯდომარე ქალს მოჰკრა თვალი. სიზმარი თუა?—გაიფიქრა თვალები მოიფშვნიტა.

— ეს მე ვარ!.. ნუ გამიწყრები! ნუ შემრისხავ!

— ქალო, აქ როგორ გაჩნდი? როდის მოხველ, რომ ვერ შევიტყე?

— გეძინა და ვერ გაგაღვიძე! ვეღარც გავბრუნდი! ნუ გამიწყრები!.. უშენობა ვერ გამიძლია!.. შენამდე ამამალლე!..

— მე ლატაკი ვარ, ბოგანო! . არა გამაჩნიარა იმაზე მეტი რასაც აქ ჰხედავ!..

— აქ მთელი საუნჯეა ჩემთვის, რადგან შენ აქა სცხოვრობ.. ნუ შემრისხავ!.. პირს ნუ იბრუნებ ჩემგან!

— კარგი, დამშვიდდი. მხოლოდ ახლა კი წადი, და ამ დროს, ასეთ ყოფაში ნუღარ მოხვალ.

— მაშ, მოხვალ?.. მიმიღებ?.. არ გამაგდებ?

— მოვალ!..

*
* *

ზამთარი იყო. გარედ ჰყინავდა. იმათს ბუნაგში მტკბარი სითბო იდგა.

— იცი, რა ჩემო კარგო, თუმცა მიღებულს ჩვეულებას არად ვაგდებ, მაგრამ ნათესავები არ მისვენებენ... დავიწეროთ ჯვარი.

— რად გინდა თავი შეიბორკო? განა ჯვრის წერა ჩვენს კავშირს გააძლიერებს?.. ვიცხოვროთ ერთად, სანამ გვეცხოვრებოდეს, ბორკილების დადება რა საჭიროა!.. მერე ასეთის ცერემონიით!..

— თუნდაც არად ჩავაგდოთ მიღებული ჩვეულება, სანამ ჩვენ ორი ვართ, მერე...—ქალი გაჩუმდა, თვალები დახარა..

— როგორ? ჰოო!.. რა თქმა უნდა, შვილი თუ გვეყოლება, სამწუხაროდ აუცილებელი გახდება ამ ცერემონიის შესრულება... მართალია „უკანონოდ“ დაბადებულის შვილად აყვანაც შეიძლებოდა, მაგრამ არსებული აზრი და საზოგადოებაში მიღებული ცრუმორწმუნოებანი თვითონ ბავშვის ბედზე ცუდს გავლენას იქონიებენ... ტოლ-ამხანაგებმა რომ წასძახონ სადმე ერთხელ მაინც დაიჩაგრება, სიცოცხლე მოეწამლება...

— მე მგონია, რომ... რა ვიცი, რაღაც არეული გუნება მაქვს... გულის რევა მომდის...

— დამშვიდდი, ჩემო კარგო!.. ყველაფერი მოეწყობა.. ეგ ცერემონიაც შევასრულოთ, რაკი ასეა!

*
* *

— ჩემო კეთილო! შენა ხარ ჩემი დედაც, ჩემი მამაც, ჩემი ძმაც...

— შენი კანონიერი ქმარიც! ოთხივე ერთად?

— ნუ ოხუნჯობ ერთი!.. შენ კი დილიდან გახვალ და დაღამებამდე სახლში დაბრუნებას არ იფიქრებ.

— ეხლა შვილი გყავს და იმაზე გადაიტან ჩემს სიყვარულს... იმაზე გაერთობი. მეორეც, მე ხომ უსაქმოდ არ დავდივარ, ცხოვრება გვინდა.

— მართალია, მაგრამ, მარტო გავიტანჯე, ცალკე ეს ბავშვი, ეს ოთახების დალაგება, სადილის მომზადება... სარეცხი... ვინმე მაინც გვყავდეს... აი, დედა რომ მაინც გვერდით გვყავდეს კარგი იქნებოდა...

— ეგ მეც მიფიქრია, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერა ხერხდება. ყველაფერს ფული უნდა!.. ხომ ჰხედავ, რა დღეში ვართ...

— სადილი მაინც ავიღოთ დამზადებული... ერთს წუთს ვერ მოვშორებივარ აკვანს... სამზარეულოში გავალ თუ არა, ჩხავილით აქაურობას იკლებს...

— როგორმე უნდა მოვახერხოთ, ჩემო კარგო!..

ოჯახს ოჯახი უნდა ერქვას!.. ბაზრულ სადილს ოჯახში ვერ შემოვიტან!.. არც გემო აქვს, არც ბარაქა და არც ლაზათი..

— არ შემიძლიან იატაკებისა და ჯამ-ჭურჭლის რეცხვა, თხუპვნა... რამდენი ხანია გაზეთიც კი ვერ წამიკითხავს!.. ასეთ სიცოცხლესაც რა ვუთხრა.

— რას იზამ, ქაჯან! უნდა შეეჩვიო. ვინც თხოვდება, ოჯახიც უნდა უყვარდეს... ცოტა წამოიზრდება ბავშვი და ნაკლებ შესწუხდები.

— ჩუმად, შე საქვევ, რას გააწვრილე ღნავილით გული! დასწყევლოს ღმერთმა!—დაჰკივლა ამრეზილმა ქალმა აკვანში მწოლიარეს და აკვანს უდიერად დაუწყო ქანება.

*
* *

— რა ღვთის წყრომაა! გეუბნები ადამიანო, რომ მე ოჯახისთვის არა ვარ გაჩენილი... არ შემიძლიან წამდაუწუმ ამ ფსუტიან მჩვრების რეცხვა...

— მდიდარიც რომ ვიყო, ჩემს შვილს ძიძას არ მივუჩენ ხომ იცი ჩემი აზრი დედის მოვალეობა შვილის აღზრდაა..

— განა მე კა არ მიყვარს ჩემი შვილი, მაგრამ ვეღარ გავწვდი ამოდენა საოჯახო საქმეს... ცხოვრებას მთლად ჩამოვრჩი... ვეღარსად გავსულვარ.

— ვისაც ოჯახი არ უნდა, არც უნდა გათხოვდეს... იცი რა გითხრა, ჩემო კარგო?.. მესმის შენი მდგომარეობა, მართალია, ოჯახური ფუსფუსი წვრილმანი საქმეა, ბევრი დროც მიაქვს... მაგრამ, თუ ადამიანი თავის მდგომარეობას არ გააზვიადებს, არც ისე ძნელია .. ჩემის აზრით, ოჯახური საქმე უფრო მძიმე ტვირთად იმისათვის გეჩვენება, რომ შენს თავს არწმუნებ ვითომც იგი ადამიანის პიროვნებას ამცირებდეს..

— რატომ ქალი უნდა ასრულებდეს ოჯახურ საქმეს და არა კაცი?! იყო დრო, როდესაც ქალი ბატონობდა კაცზე და ცხოვრებასაც თავის ნებაზე ატრიალებდა...

— არსებითად რომ ვსთქვათ, დღესაც ასეა, მხოლოდ სხვა სახით. მაგრამ, განა ჩვენ, მე და შენ, შეგვიძლიან ცხოვრების ჩარხი მოვატრიალოთ და სასურველად შევსცვალოთ ყოველივე?.. დღეს... აგერ ბავში ტირის, მაჰხედე გეთაყვა... მეც სამსახურში მიგვიანდება... მაინც მინდა ძალიან არ დაიჩაგრა... მოახლეს გიშოვნი როგორმე, ისევ სხვა მოვიკლოთ რამე. თუმცა ეს ქალთა საკითხს არ გადასწყვეტს: მხოლოდ შენს საქმეს შენზე უფრო ხელმოკლე ქალი გააკეთებს.

*
* *

— ჩემო კარგო, ამ ბოლო დროს გუნებაზე ვერა ხარ. ხშირად სულ უბრალო რამე გაბრაზებს, ავად ხომ არა ხარ?.. ეხლა ხომ ნაკლები შეწუხება გაქვს, შვილი წამოგეზარდა, აღარ აწოვებ, დედაკაცი გეხმარება... რა ამბავია შენს თავს?..

— მეტს ყურადღებას რომ მაქცევდე, გეცოდინებოდა... აღარ ვიცი, რა ვქნა... მეც ხომ ადამიანი ვარ, პიროვნება... მეც მინდა საზოგადო ცხოვრებაში ჩემი წვლილი შევიტანო მინდა ჩემს თავს მეტი განვითარება მივცე... სახლში ტრიალმა და შვილის ძიძობამ მთლად გამომაყრუა, ცხოვრებას მომწყვიტა...

— კიდევ დაიწყე?... მაშ ვიღა მახსოვს, თუ არა შენ, დილიდან საღამომდე დავწანწალებ, ვმუშაობ საარსებო ლუკმის საშოვნელად... განა მე კი ძალიან გართობილი ვარ! სახლიდან სამსახურში, სამსახურიდან სახლში!.. ასე მიდის დღეები.. გეთაყვა, დაიმშვიდე ნერვები, ნურც შენს თავს აწუხებ და ნურც მე.

— ერთი სიტყვით, გადაჭრით გიცხადებ, რომ შვილის ყოლა აღარ მინდა... არ შემიძლიან, გესმის, არ შემიძლიან ჩემი სიცოცხლე ოჯახსა და შვილს შევალიო... ეხლაც გუნებნაქცევათა ვარ... შენ კი ყურს არ მიგდებ... საშინელი ტკივილები მაქვს... ექიმ №-თან მიმიწერე, რომ გამანთავისუფლოს ამ მდგომარეობიდან სამუდამოდ...

—ქალო, ხომ არ გადაირიე? მე მივმართო ექიმს, რომ შვილის მკვლელი გაჰხდე?.. არა! მე მაგას ვერ ვიკისრებ და შენცა გთხოვ, გონს მოხვიდე... ერთხელ და სამუდამოდ დაარწმუნე შენი თავი, რომ ასეთი საქმე დიდი დანაშაულია... დანაშაული არამც თუ მხოლოდ ბუნების არამედ შენი ქვეყნის, შენი ხალხის, თვით კაცობრიობის წინაშე... გადაჭრით გიცხადებ, ეგ საქმე არ გაჰბედო!

— გავბედე და მორჩა!.. ერთს დედაკაცს შინაური წამალი გამოვართვი და ვიხმარე კიდეც!..

— შენდამი ყოველივე პატივისცემას ახშობ ჩემში! რა ჰქენ!?.. რა ჩაიდინე!?

— გეუბნები, არ მინდა შვილის ყოლა. არ შემიძლიან, არა! არა! არა!.. ჩემს ძალლონეს ოჯახს ვერ ვანაცვალებ, ჩემს ნიჭს ძიძობაში ვერ ჩავკლავ... მეც პიროვნება ვარ, ადამიანი და მინდა ჩემი პიროვნული წვლილი საზოგადოებრივ საქმეს შევალიო...

— ვფიცავ ღმერთს, გონება მთლად დაგიკარგავს... განა შვილის აღზრდა საზოგადო საქმეც არ არის? შვილები რომ არ იყოს, ვიღასთვის ან რიღასთვის არის საჭირო ეგ საზოგადოებრივი საქმე.. საზოგადო მოღვაწეობა?

— ერთი მყავს და ეგეც მეყოფა... მეტი არ შემიძლიან...

— რა უნდა შესძინოს საზოგადოებას იმ დედამ, რომელიც თავის სისხლ-ხორცს, თავის შვილს ჰკლავს!.. შვილის მკვლელი და საზოგადო მოღვაწე!.. ვაი იმ ქვეყანას, ვისაც ასეთი ქალები ჰყავს! ვაი იმ ერს, რომელსაც ასეთი დედები მოეპოვება! ვაი იმ ოჯახს, რომელსაც ასეთი დიასახლისი ებედება!.. შვილის მკვლელი დედა ერის მკვლელიც არის, ადამიანობის გამათახსირებელიც, ქალობის დამამცირებელიც, ასეთი დედა სამარცხვინო ბოძზე უნდა გაეკრას!..

— ნუ თუ?!..

— „ნუ თუ“ შენ დ დარდუბალა!..

**ნარკანი.**

ტფილისი, მუხრანის ქუჩა. სტამბა „შრომა“. რედაქტორი ნ. კურდღელაშვილი. გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.